№ 13 იანვარი 19, კვირა — 1892 — იანვარი 19, კვირა № 13

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

**ტფილისის ქალაქის თავისაგან**

დროებით დადგმულის ხიდის ჩანგრევის უბედურობა წმ. ნათლი-ღება დღეს, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, უმსხვერპლოდ არ გათავდა.

რამდენსამე ოჯახმა იმ დღეს დაჰკარგა თვისი მასაზრდოებელნი. ვიცი რა გულ-შემატკივრობა ქალაქის მცხოვრებთა, რომელთა საქმე მათგან შემწეობას ითხოვს, ჩემს მოვალეობად დავსახე ცა გავმართო ქალაქის გამგეობაში ხელის-მოწერა შემოწირულებათა მისაღებად იმ სახლობათა სასარგებლოდ, რომელთაც დაჰკარგეს ვინმე ზემოხსენებულ უბედურობის დროს.

შემოწირულებანი მიიღება ქალაქის გამგეობაში, ყოველ დღე, ნაშუადღევის ორ საათამდე. (5—5)

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—7)

**წლიური საზოგადო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-სა, დანიშნულია იანვრის 19, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდგან 1890 წლისა 1-ლ სექტემბრამდე 1891 წლისა, ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, 1890/92 წლისათვის, გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა, დ) გამგეობის ახალის წევრების არჩევა.

ტფილისი, 18 იანვარი

ამ ნათლის-ღების უბედურობის ვაი-ვაგლახში როგორღაც ჩუმად ჩაიარა თუმცა დიდის ხნის მოსალოდნელმა, მაგრამ საოცარმა ამბავმა, რომელიც გამომჟღავნდა მთელის თავის სიგძე-სიგანით 30-ს დეკემბერს ქალაქის საბჭოში.

ამ დღეს საბჭოს განსაკითხად დანიშნული იყო სარჩიელი ნ. დ. ზუბალაშვილისა იმის შესახებ, რომ რატომ არა ჰსრულდება ქალაქისა და ცხენის რკინის უსახელო საზოგადოების ხელ-შეკრულობის მე-21 მუხლიო. ამის გამო ნ. დ. ზუბალაშვილმა წარმოსთქვა გულდადებული, წინ-დახედული, დიდად დასაბუთებული, ყოვლისფრით სრული სიტყვა და ის რაც მან გამოამჟღავნა საბუთების ჩვენებითა, მართლა რომ საოცარია.

საქმე იმაშია, რომ 1881 წ. 11-ს აპრილს ქალაქი და ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება ხელ-წერილით შეკრულან და მე-21 მუხლს ამ ხელ-წერილისას ვალად დაუდვია ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისათვის რკინის გზის გადაგვა და ნაგავის გატანა. პირველ დღიდამვე 1888 წ. 12-ს ივლისამდე უსახელო საზოგადოებას აინუნშიაც არ მოსვლია შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ცხადად მოხსენებული ხელ-შეკრულობის მე-21 მუხლში. ქალაქის ფულის გულ-მოდგინე მეხახველს ქალაქის გამგეობას აუღია და რაკი შენ არა ჰგვი და არ ასუფთავებ, მოვალეობისამებრ, შენს გზასა, მე დავგვი და ნაგავსაც მე გავიტანო ქალაქის ფულით, რომელიც, ჩვენში-კი ითქვას, მას მიბარებული აქვს, რომ ტყუილ-უბრალოდ არა ჰფანტოს. რა თქმა უნდა, უსახელო საზოგადოება, დიდად მადლიერი ამისთანა გულ-უხვობისათვის, გაუჩუმდა ქალაქის ფულზე გულ-უხვს გამგეობას. ამ სახით 1881 წლიდამ 1888 წლამდე გამგეობას უგვია და უზიდნია ნაგავი ცხენის რკინის გზისა ქალაქის ხარჯითა და „ქალაქის ღარიბ დაჩაგრულმა მილიონების პატრონს საზოგადოებას რვაასი თუმანი შეაწიაო“, ამბობს ბ-ნი ზუბალაშვილი.

ამ საჩუქარს მოუყრუა ყური, რასაკვირველია, უსახელო საზოგადოებამ. ან რად იტყოდა რასმე? პირველი, რომ ნაჩუქარს ცხენს კბილებს არავინ უსინჯავს, მეორე, რომ მეტი ლუკმა ყელში არავის დასდგომია. მართალია, არც გამგეობას უტკენია თავი იმის გამოძიებაში თუ, კაცო, ამ ქალაქისაგან მობარებულს ფულს რაზედ ვაჭმევთ სხვასაო. სწორედ შვიდი წელიწადი მოუნდა, ვიდრე გამგეობა ამისთანა წინდაუხედაობაზე თვალს აახელდა, ისიც როგორ? გაეხმაურა ზრდილობიანად უსახელო საზოგადოებას და არა ნაკლებ ზრდილობიანად მოაგონა, რომ ცხენის რკინის გზის დაგვა და ნაგავის გადაყრა შენი ვალიაო. კაცსა ჰგონია, ამის შემდეგ მაინც ხელს აიღებდა გამგეობა რკინის გზის დაგვისა და ნაგავის გადაყრისაგან ქალაქის ხარჯითაო. თქვენც არ მოიკვდეთ: ხომ შეატყობინა, დაგვა-დაწმენდა თქვენი ვალიაო, მაგრამ მაინც თვით გამგეობა ისევ ქალაქის ფულით სწმენდდა და ნაგავი გაჰქონდა, თითქო ეძნელებაო, ამ სასიამოვნო შექცევას თავი როგორ დავანებოო.

ამისთანა ტკბილი ურთიერთობა ერთის მხრით უსახელო საზოგადოებისა და მეორეს მხრით ტფილისის ქალაქის გამგეობისა არა ნაკლების სიტკბოებით იმალავდა თავს ამ ორთა შორის 1890 წლამდე. გამგეობას ფიქრად არ მოსვლია საბჭოს შეატყობინოს, რომ უსახელო საზოგადოება არ ასრულებს თავის მოვალეობას და აი შვიდი წელიწადია, რაც ხელ-შეკრულობის პირობას არღვევს. ეს ამბავი შეიტყო თურმე საბჭომ როგორღაც ფათერაკად 1890 წ. 21 მაისს, როცა ხმოსანმა თ. მიქელაძემ აცნობა საბჭოს, რომ ვაგზალის გზაზე თავის დროზე აღარ დადის ცხენის რკინის გზის ვაგონებიო.

რა ჰქმნა მაშინდელმა საბჭომ, როცა ეს უეცარი ამბავი შეიტყო? მაშინ, ხომ მოგეხსენებათ, ტკბილად ცხოვრების დრო იყო. მაშინ ყველანი იმის ფიქრში იყვნენ, რომ ოღონდ მე კარგად ვიყო და თუნდ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეხლაა, რომ ეს რაღაც „ოპოზიცია“ გაჩნდა, რომელიც იძახის ოღონდ-კი ქვა ქვაზედ დარჩეს და შენ-კი თუნდ იყავ, თუნდ არაო.

ტკბილმა მაშინდელმა საბჭომ დაადგინა თურმე: ვაგონების სიარულის აღკვეთის გამო უსახელო საზოგადოებას გადახდეს ჯარიმა 12,800 მან., გამგეობას მიენდოს ამ ჯარიმის გადახდევინება, თუ უსახელო საზოგადოება არ მოურიგდა გამგეობას ცხენის რკინის გზის დაგვისა და ნაგავის გადაყრის შესახებო. ამ სახით საბჭომ ხასკვიც ხელთ მისცა უსახელო საზოგადოებას და გამოსახსნელი ძაფის წვერიც.

რა უქნია ამ დადგენილების აღსასრულებლად გამგეობას? როგორც ეტყობა მოჰრიგებია ასე, რომ უსახელო საზოგადოებას უკისრნია წელიწადში სამოცის თუმნის ძლევა და გამგეობას გვა და ზიდვა ნაგავისა. ხოლო საკვირველი ის არის, რომ ამ გვასა და ნაგავის ზიდვაზე თვით ქალაქს ეხარჯება, ქალაქის ინჟინერის სიტყვით, წელიწადში 2140 მანეთი და გამგეობა-კი დასჯერებია სამოცს თუმანს. ამ მხრით ქალაქის ჯიბიდამ გამგეობას უთავაზნია უსახელო საზოგადოებისათვის ყოველ წლივ ასორმოც-და-თოთხმეტი თუმანი ფეშქაშად. ვინ იტყვის, კარგი არ არის თავაზა და ფეშქაშიო, მაგრამ სხვისის ჯიბიდამ ნათავაზევისა და ნაფეშქაშისა-კი რა მოგახსენოთ.

სასაცილო ჯერ აქამდენი არაფერია. საქმე ის არის, რომ მინამ ნ. დ. ზუბალაშვილი ამ საქმეს გამოარკვევდა, ატეხილიყო ერთი ახირებული სიტყვა-პასუხობა, მორიგებული ვართ თუ არა უსახელო საზოგადოებასთან იმაზე, რომ ქალაქმა უნდა ჰგავოს და ზიდოს ნაგავი წელიწადში სამოც თუმნადაო. კაცი რომ დაუკვირდეს ამის გამო ლაპარაკსა, სწორედ ვოდევილია. სამს გამგეობის წევრს სამი სხვა-და-სხვა აზრი ჰქონია თურმე ამ საგანზე. ერთი იძახის, არა ვართ მორიგებულნიო, მეორე ამბობს: სტყუი, მორიგებულნი ვართ, მხოლოდ ვადამდეო, და მესამე ჰყვირის: ერთიც სტყუის და მეორეც, მორიგებული ვართ და გათავდაო.

ნ. დ. ზუბალაშვილმა-კი დაამტკიცა, რომ გამგეობის მორიგება, თუნდა იყოს კიდეც, მორიგებად არ ჩაითვლება, ვიდრე საბჭოსაგან დამტკიცებული არ იქნებაო და რადგანაც არც გამგეობას შეურაცხავს თავის კანონიერ ვალად წარმოედგინა საბჭოსათვის მორიგება დასამტკიცებლად და არც საბჭოს დაუმტკიცებია, არავითარს მორიგებაზე ლაპარაკი არ უნდა იყოსო. ბ-ნმა ზუბალაშვილმა ამის შესახებ კანონით დაასაბუთა თავისი სიტყვა.

ნუ თუ ბ-ნ ზუბალაშვილის მშვენიერ და დასაბუთებულ სიტყვის შემდეგ ნება არა გვაქვს მწუხარებითა ვსთქვათ: ღმერთო, ეს ვის ხელში ჩაგვიგდია ქალაქის საქმეო.

ნუ თუ ეხლაც იტყვიან, რომ ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ცარიელ აყალ-მაყალის მეტს არა აკეთებსო. ნ. დ. ზუბალაშვილმა

## ფელეტონი

1.

### წკიპურტი

ნაკიან-ნაკლიანი წელიწადი.—სად არ არის ხიდი ჩატეხილი?—ჩატეხილის ხიდის მაგალითები.—რა არის ჩვენი ცხოვრება?—ქალაქის გამგეობის მოღვაწეობა.—წარვიდნენ ნეტარნი დღენი.—ჩვენი ტალეირან-ბისმარკი.

წრევანდელი ახალი წელიწადი, ნაკიანი-კი არა, მეტად ნაკლიანი აღმოჩნდა. ფეხი შემოდგა თუ არა, თან სხვა მეხი მოჰყვა. არც ჩვენი ზვარაკად უხვად შეწირული გოზინაყ-ჰალვა შეიწყნარა, არც გულს გაღვიძებული იმედი უკეთესის მერმისისა შეიბრალა; ჯერ მამა-პაპური სალამ-ქალამიც არ გვეთქვა რიგიანად, რომ სიმწარის ფიალა ხელთ მოგვცა და გვახვრიპა.

ჩატყდა ხიდი ნაახალწლევს და უექველია დაგვეკვებება, ჩვენი უკუღმართი ცხოვრება ამიერიდგან სულ ასე თარსად, დუხჭირად ივლის, ყველაფერში ხიდ-ჩატეხილნი ვიქნებით. ეს სიტყვები არც წყევლაა, არც ცრუ-წინასწარმეტყველება, არამედ ის სამართლიანი მოლოდინი, რასაც დღევანდელი დღე ხვალისათვის გვექადის, ნათესი რა სამკალსაც გვიმზადებს, ის გამოცანაა, რომლის პასუხი თვით გამოცანის სიტყვებშივე იფარება.

აბა მიიხედ-მოიხედეთ, ქუდი დასდეთ და სამართალი ბრძანეთ. რომელს საქმეს, რომელს კუთხეს, რომელს ადამიანს დაასახელებთ, რომ ყველგან ხიდი არ იყოს ჩატეხილი. განა ტყუილია, რომ გულსა, გონებასა და ცნობას ერთმანეთში დიდი ხანია ხიდი ჩატეხილი აქვთ, ერთი ამ ნაპირს დარჩენილა და მეორე იმ ნაპირიდგან გამოჰყურებს. განა შავის ჩიხტ-კოპითა და რიზაიის შალით მორთულს დედასა და იმის წინ კორსეტ-შლიაპაში გამოწყობილს ქალს რომ დაინახავთ ხოლმე, მაშინვე გულს ის აზრი არ გაგიელვებთ, რომ უჰ, ამათ შორისაც ხიდი ჩატეხილიაო?! თვალს რომ მოჰკრავთ ხოლმე უსუსურს ყმაწვილს, რომელსაც რაღაც უცნაური ანა-ბანა დაუჭერია და გაუგებარ სიტყვების გაზეპირებას თავს აკლავს, ისევ ის წყეული აზრი არ გაგიმსჭვალავთ ხოლმე გონებას,—აქაც წარსულსა და მერმისს შორის ხიდი ჩატეხილი იქნებაო?!

აგერ ნასწავლი, სიბრძნის ტაძრიდგან ახლად ცხოვრების გასამკლავებლად მოწოდებული ყმაწვილი ვექილი „ხელის ჰუჰყის“ ეშხით შვილის სულის სისხლის მსმელს მკვლელს გადაჰფაფრებია და თავისს სწავლას, თავისს მჭევრმეტყველებას იმის გამართლებას აძლევს, ათასს ხრიკსა და ხერხსა ჰხმარობს, რომ ბრალდებული წყლიდგან მშრალი, წინწკალმიუკარებელი გამოიყვანოს. განა ეჭვიაა, რომ აქ სინიდისსა და ამ ბ-ნ ვექილს შორის ხიდი დიდი ხანია ჩატეხილია?!

აგერ ღიპ-გადმოგდებული სოვდაგარი. იმოდენა ღიპი გადმოუგდია, თითქოს თამამშოვის ქარვასლა ჩაუყლაპავსო. ფულის ვაჭრობითა ცოცხლობს და ამ უშველებელს სტომაქს სარგებლით ასაზრდოებს. ძლიერს ფეშქაშით უქონავს თავს, ღარიბს—გროშისათვის ოფლით მოპოვებულსა და ნაჭირნახულევს თუმნიაებს ახდევინებს. განა ამ კაცსა და პატიოსნებას შორის ხიდი ეხლაა ჩატეხილი?!

აბა ამ დიდებულის გვარეულობის დიდის ლოლიაობით ნაზად აღზრდილს შტოს მიაქციეთ ყურადღება. ცხოვრობს, რომ სჭამოს და სჭამს, რომ იქეიფოს, მამულები აგირავოს, მანამ გაჰხვდება, რასაკვირველია, ტვინი ქერსა ჰკრას, თუ მოეძებნება, და მთელი სიცოცხლე სმა-ღრეობას შეალიოს. აშკარა არ არის, რომ ამ კაცსა და ჭკუას შორის ჩატეხილს ხიდს სამას სამოც-და-სამი ხუროთმოძღვარი და დურგალიც ველარას უშველის?!

ეს სულიერი მამა-ღა? ტრაპეზიდგან ღოთობასა ჰგმობს და ჰკრუ-

პირში ბურთი ჩაუდო ყოველს ამის მთქმელს და იმედია, თუ ოპოზიცია ამ რიგიანსა და საბუთების გამორკვევის გზას არ გადუხვევს, კიდევ ბევრს ამისთანა სახახელო გამარჯვებას დაინარჩუნებს.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

18 იანვარი

**ქუთაისი.** დღეს მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები შეჩერებულ იქმნა ქალაქის მოურავის მიერ, რომელმაც ამასთანავე სთქვა: „ჩემდა დიდად სამწუხაროდ, როცა მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები დაიწყო, დარღვეულ იქმნა კანონი, თუმცა ეს დარღვევა კანონისა პირველის შეხედვით იმდენად საყურადღებო არ იყო. იმედი მქონდა, რომ ბოლოს როგორმე მოვახერხებდით და კანონიერის წესით ვაწარმოებდით არჩევანს, გარნა მოლოდინი ჩვენი არ გამართლდა და უკანონობა მეტის-მეტად გაძლიერდა, თითქმის დანაშაულად გადაიქცა. შემიჩერებია არჩევანები, ვიდრე ჯეროვანი მთავრობა ახალს განკარგულებას მოახდენდეს. კრება დამითხოვნია“. დაწვრილებით ამ ამბის გარემოებას ფოსტით გაუწყებთ.

## ახალი ამბავი

⁂ შაბათს, 25 იანვარს, დანიშნულია მასწავლებელ და აღმზრდელ ქალების საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენა თეატრში. წარმოდგენა შესდგება გარდა ოპერისა, რომელშიაც იმღერებენ სხვათა შორის, ქ-ნი ზარუდნაია და ბ. ეგიაზაროვი, კიდევ დრამატიულ წარმოდგენისა და კონცერტის განყოფილებისაგან. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ვანდერიკი, კოლჩინი და სხვ. ყოველ წლივ დიდ-ძალი ხალხი ესწრება ზემოხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულს წარმოდგენებზედ.

⁂ ქალაქის საყასბოების ბეითალმა ბ-მა ისპანდიაროვმა ამ დღეებში წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში საყასბოების მდგომარეობისა წარსულის წლის განმავლობაში. ანგარიშიდგანა სჩანს, რომ თვით ქალაქს აქვს მხოლოდ ერთი ხის შენობა საყასბოსი, დანარჩენი 19 შენობა ეკუთვნით ტფილისის ყასბებს და სხვა მოქალაქეებს. ყოველს საყასბოსა ჰყავს თავისი მუდმივი მუშა, რომლის მოვალეობაც არის ასუბთაოს ჩაბარებული საყასბო. ანგარიშში მოყვანილია ცნობანი მასზედ, თუ რამდენი სული ხვადაგი დაკლულა წლის განმავლობაში, რამდენი იყო მათში სხვილი და რამდენი წვრილი საკლავი. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ სხვილი საქონელი დაკლულა 40,000 სულზე მომეტებული. წვრილი საქონელიც იმდენივე დაკლულა საყასბოში, ხოლო, გარდა საყასბოსი, წვრილი საქონელი ერთი ოცად მეტი იკვლის თვით ქალაქში. ბ-ნი ისპანდიაროვი ამბობს, რომ ყოველი საკლავი ისინჯება ჯერ ცოცხალი და შემდეგ იკვლევა მისი ხორციო. ამ გამოკვლევის წყალობით უვარგისი აღმოჩნდა 30 სულამდე სხვილი ხვადაგი, ხოლო 180 სულამდე წვრილი საკლავი და მათში 162 სული ღორი. ეს ხორცი არ გააყიდვინეს და არც ახმარებინესო.

⁂ გუშინ კიდევ ერთი გვამი იპოვნეს მტკვარში 6 იანვარს მომხდარ უბედურების დროს დამრჩვალისა.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ავსტრიელი ლეიტენანტი გრაფი ნიკოლოზ ბერშტოლდი. ბ-ნი ბერშტოლდი თეირანში მიემგზავრება და მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის გუსარის პოლკი უნდა განაწყოს.

⁂ ჩვენ მივიღეთ წლიური „ანგარიში“ „ქართველთა-შორის“ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედებისა 1890 წლის 1 სექტემბრიდამ 1891 წლის 1 სექტემბრამდე. წაზოგადოებას ჰყოლია ამ ჟამად 458 წევრი, 114 დამფუძნებელი და 344 ნამდვილი. გადაცვლილა 5 საპატიო და 1 ნამდვილი წევრი: დავით იესეს-ძე ჩუბინაშვილი, მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანი, თ. მამია გურიელი, თ. ვახტანგ ორბელიანი და კნ. ელენე ლორთქიფანიძისა.

შემწეობა საანგარიშო წლის განმავლობაში აღმოუჩენია „საზოგადოებისათვის“ შემდეგ დამხმარებელ წევრთ: კნ. ოლგა იოსების ასულს მიქელაძისას, ქეთევან ჟურულისას, დამხმარებელის წევრის თ. ბექან წერეთლის მეუღლეს ნინო ალექსანდრეს ასულს და თ. კირ. ლორთქიფანიძეს. სკოლები საზოგადოებას წარსულს წელსაც იმდენი ჰქონია, რამდენიც წინად: ბათუმსა, კავკავსა, თონეთსა, წინა რეხსა და ხელთუბანში. თავის საკუთარის ფულიდამ ბათუმის სკოლაზე დაუხარჯავს 1624 მან. 65 კაპ., აქ ჩათვლილა ის ფულიც, რომელიც თვით ბათუმში იქმნა შეგროვილი, სახელდობრ, 527 მან 24 კ., კავკავისაზე 101 მ. 60 კ., თონეთისაზე—248 მ., ხელთუბნისაზე—28 მ., წინა რეხისაზე—212 მ. 4 კ., ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი განყოფილება ძველს სენაკში საანგარიშო წელსაც საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ ყოფილა პედაგოგიურის მხრით, ხოლო მისი უზრუნველ ყოფა ხარჯისა და მეურნეობის მხრით, როგორც წინად ისე ეხლა, ყოფილა დამოკიდებული ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკსა და იმ სამზრუნველო კომიტეტზე, რომელიც თვით ქუთაისში არსებობს. ბათუმის სკოლაში ყოფილა სულ 62 მოწაფე, ამათში 7 მაჰმადიანი, დანარჩენი ქრისტიანები; კავკავისაში—44 მოწაფე, თონეთისაში — 63, ხელთუბნისაში—36, წინა რეხისაში—52., ქუთაისისაში—269, ძველ-სენაკისაში—113. მასწავლებლად ბათუმის სკოლაში არის ბ-ნი მ. შარაშიძე, კავკავისაში—ივ. ბედელაძე, თონეთისაში—ლ. მათიკაშვილი, ხელთუბნისაში—თ. რაზიკაშვილი, წინა რეხისაში—სალ. მაღლაშვილის ქალი; ქუთაისისაში ინსპექტორად ბ-ნი ვ. რ. ყიფიანი, მასწავლებელი—15, 2 ზედამხედველი და 1 მკურნალი, სენაკის სკოლის ზედამხედველად ს. ყიფიანი. სენაკის სკოლაში განუზრახავთ სამეურნეო განყოფილების დაარსება. ამისათვის თ. ნ. მინგრელსკი დაჰპირებია 1,500 მან. და შესაფერს ადგილს ფერმისათვის. 500 მან. კიდეც მიუღია სკოლას და შენობაც დაუწყია. ფულს დაჰპირებია აგრეთვე შარშან-წინ ქუთაისის ბანკის წევრთა კრებაც, მაგრამ საანგარიშო წლის განმავლობაში არა მიუღია-რა სკოლას. შემდეგ ანგარიშში მოხსენებულია ვითარება საზოგადოების ბიბლიოთეკისა და ბოლოს ნუსხა და ცხრილია საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა. ფულად შეუწირავთ „საზოგადოებისათვის“ ხუთი თუმანი ეგზარხოსს პალლადის, ათი თუმანი ელისაბედ გიორგის ასულს წერეთლისას და ორი თუმანი ოდესის სტუდენტებს. აი რა ყოფილა შემოსავალი საზოგადოებისა: საწევრო ფული—273 მან., ლოტარეია-ალეგრი ტფილისსა და ბათუმში—2553 მ. 53 კ., ტფილისში კონცერტი—460 მ. 53 კ. სხვა-და-სხვა შემოწირულება—649 მ. 56 კ. წმინდა მოგება წიგნების გასყიდვით—1167 მ. 50 კ., %% სარგებლიანის ბილეთებისა და სახელდახელო ანგარიშად ნამყოფის ფულისა—149 მ. 11 კ. სულ 5496 მ. 86 კ.

წლის განმავლობაში საზოგადოებას დაუბეჭდია მხოლოდ ორი წიგნი: დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა და წმ. ნინოს ცხოვრება.

⁂ ხვალ საღამოს კრება იქნება ტფილისის ქალაქის საბჭოსი, რომელიც სხვა მორიგ საქმეთა შორის განიხილავს შემდეგს საგნებსაც: ა) არჩევანი გამგეობის ორის წევრის კანდიდატისა; ბ) მოხსენება ხმოსან პაშკევიჩისა იმის შესახებ, რომ არჩეულ იქმნას კომისია საყასბოების აშენების საქმის საწვლილებლად; გ) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ქალაქის ინჟენერი გაგზავნილ იქმას სხვა-და-სხვა ქალაქში იქაურ საყასბოების დასათვალიერებლად, რათა ამ დათვალიერებით იხელმძღვანელოს ქალაქმა ტფილისში საყასბოების აშენების დროს; დ) მოხსენება ხმოსან თამამშევისა იმის შესახებ, რომ სახელოსნო სკოლის დირქტორისა და რევიზიის მოხსენებაში სხვა-და-სდვა რიცხვია აღნიშნული ხსენებულს სასწავლებელში ოსტატის სახელით სწავლა-დამთავრებულთაო, და სხვა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა ოზურგეთიდამ იქ ახლად დაბეჭდილი პატარა ქართული წიგნი „ამპარტავანი გიორგი“, ლეგენდა გარშინისა, ნათარგმნი რუსულიდამ ბ-ნ ილ. ფერაძის მიერ. ეს წიგნი დაუბეჭდია ოზურგეთში მიქელაიშვილისა და თავრთქილაძის წიგნის მაღაზიას, რომელმაც ამას გარდა, დაჰბეჭდა სხვა წიგნებიცა, რიცხვით რვა. ზემოხსენებული ლეგენდა გარშინისა ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი და დღეს ეს ლეგენდა გადაუბეჭდიათ ცალკე წიგნად. სტამბის მხრით წიგნი ურიგოდ არ არის დაბეჭდილი და ჰღირს სულ ერთი შაური.

⁂ პეტერბურგი: ვერაფერს მდგომარეობაშია ამ ჟამად აქაური ქართველი სტუდენტობა, რომლის მომეტებულს ნაწილს ძალიან ნაკლებადა აქვს სალარი რჩენისა და სწავლის ფასის გადახდისა. თითო-ოროლა გროში, რომელიც მოეძევებოდათ, წაიღ-წამოიღეს წინდაწინვე იმათ, ვინც შარშან, ან შარშან წინ აქ გაჭირვებულ სტუდენტებად ირიცხებოდნენ და ახლა, თუმცა ამისთანა მოვალენი სტუდენტობისა შედარებით უკეთ სცხოვრობენ, სამსახურში არიან, ჯამაგირებს იღებენ, მაგრამ არ ჰფიქრობენ, რომ სესხად აღებული უკანვე დაუბრუნონ თავიანთს გაჭირვებულს ამხანაგებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის მაინც უნდა ვსთქვათ, რომ, ჩვენის აზრით, ახალგაზდა ნასტუდენტარნი, დღეს სამშობლოში დაბრუნებულნი, მოვალენი არიან უფრო მეტის გულ-მტკივნეულობით მოექცნენ თავიანთს გაჭირვებულს სტუდენტს ამხანაგებს.

⁂ თელავი: 12 ამ თთვისას ქართული წარმოდგენა გაიმართა აქა მონაწილეობით ქ-ნ კახიძისა (ანდრონიკოვისა) და ბ-ნთ: აწყურელისა, გამყრელიძისა და სხვათა. წარმოადგინეს ისტორიული დრამა „თამარ-ბატონიშვილი“.

⁂ კონდოლი: ამ თთვის პირველს ჩვენში ქართული წარმოდგენა გამართეს სცენის მოყვარეებმა. შემოსავალი წარმოდგენისა განზრახულ წიგნთსაცავისათვის გადაიდო.

⁂ გაზეთ „ნოვ. ობოზ“-ე იწერება გაგონილს ამბავს, საუბედურო ხიდის აშენებელს მღვდელს ტერ-კოსტა არარატიანს ხიდის მასალა მეტივეებისაგან უყიდნია და ფული ჯერ აქამდე არ მიუცია არც იმათთვის—210 მანეთი და არც დურგლისათვის, რომელიც ხიდზე მუშაობდაო. მეტივეები არიან: კიკო ბეჟეთაშვილი, პეტრე ხვედელიძე, სანდრო ნატრიშვილი და პავლე არავაძე. გაჭირვებულს ოსტატსა და მეტივეებს მიუმართნიათ საჩივრით ქალაქის გამგეობისათვისაც და სომეხთ სასულიერო კონსისტორიისათვისაც, მაგრამ ვერას გამხდარან. ბოლოს გაზეთი დასძენს, იქნება ამ საქმეში ის კომისია ჩაერიოს, რომელიც შესდგა 6 იანვარს დაღუპულების ოჯახობათა დასახმარებლადაო.

⁂ გაზეთს „ნორ-დარში“ შემდეგი ამბავი სწერია: 6 იანვარს ვარანცოვის ხიდზე ცხენით მიდიოდა ერთი თათარი. გაიგონა თუ არა, ხიდი ჩატყდაო, მაშინვე იქითკენ გასწია. სხვა ცხენოსანთა მიხედვით, ესეც წყალში შევიდა ხალხის დასახსნელად. ამ დროს ერთმა წყალში ჩავარდნილთაგანმა ხელი სტაცა თათრის ცხენს. თათარმა შეჰხედა და იცნო თავისი მოვალე, რომლისაც ვექსილით 100 თუმანი ემართა. „ხე-

---

ლავს, ერს აფრთხილებს, მაგ საწამლავს ერთს აღაჯზედაც ნუ გაუვლით გვერდითაო, და იქვე-კი, მეორე ქუჩაზედ, სირაჯის დუქანი გაუმართავს, ლოთობას ისიც ხელს უწყობს და იმის გაძლიერებას ხელს უმართავს, ფესვს უმაგრებს. ჰვაჰრობს, იჯარადრობს, აღებ-მიცემობს. განა ამ კაცსა და წმიდა ეკკლესიას შორის ჩატეხილს ხიდს დააკერებს-ღა რამე?..

აგერ კიდევ... მაგრამ რაღა კიდევ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ და იმას რაღა დასურათება უნდა, რაც უმაგალითოდაც აშკარაა. დააკვირდით ჩვენს ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ ორს ნაბიჯს შუაცკი ხიდი ჩატეხილია, ერთი მეორეს არ შეესაბამება, არ ეთანხმება. ჩვენი ცხოვრება ერთი დაუსრულებელი და დაუწყნარებელი ასკინკილაა, კვალ-გაუტანელი, ბილიკ-გაუყვანელი, უსწორ-მასწორო. სიდუხჭირეა მარჯვნივაცა და მარცხნივაც, თვით ძირ-ფესვია მოგრეხილი და სიმრუდედ გადაქცეული. რა გაეწყობა, არჩილ მეფესი არ იყოს:

ცხოვრება ჩვენი კვალსა ჰგავს,
ზღვაზედა ნავთ-მავლისასა,
გინა სიზმარსა ამაოს,
წუთი ერთ ძილ-მოკლისასა,
ღრუბელს ქართ მიმოკვეთებულს,
ანაზდსა დასავლისასა,
ზღაპარსა დაუჯერებელს,
მემუცლის გამომთქმლისასა.

**

აღარც ის არის ვისთვისმე დაფარულ-დამალული, რომ ტფილისის აწინდელი გამგეობა, რომელშიაც ძველი სენია ჩარჩენილი, და ქალაქის მკვიდრნი ერთმანეთს დაჰშორებია და მათ შორისაც ხიდი კარგა ხანია ჩატეხილია. ეს გარემოება ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, ვინც-კი ჩვენის საბჭოს ორს უკანასკნელს კრებას დაესწრო. ორჯელვე გამგეობის მოღვაწეობასა და მოქმედებას ჯერ ბ-ნმა ზუბალოვმა და მერე მიქელაძემ სწორედ ზურგზე ბოლი აადინეს.

თქვენი რა მოგახსენოთ, და მე-კი ასე მგონია, რომ შეგნებულმა კაცმა. სამოთხის ნეტარებაც რომ დაუმტკიცოთ უფროსისნატარიუსის ხელით, ვექვობ, ჩვენის მრავლად წამებულის, პატივცემულის იზმაილოვის მაგიერობა მოინდომოს. ჰმ, იზმაილოვობაო... იჯდეს და ზუბალოვის ცქერით გული გახეთქილი ჰქონდეს, იცა რას გამოატყვრენს ეს ჩემდა გულის გასახიებლად მოვლენილი კაციო?!.

დიაღ, არა გვშურს გამგეობის ბედი, იმ გამგეობისა, რომელიც ეხლა თითონვე შეჰნატრის თავისს უწინდელს ბედს და მწუხარებით კითხულობს „რანი ვიყავით ჵ რანი ვართო?“ წარვიდნენ, ძართლაც-და, ის ნეტარნი, მარად სახსოვარნი და ტკბილად მოსაგონარნი დღენი, როდესაც, ჯერ ერთი, ხიდი ასე ძლიერ, თვალ-საჩენად, არ იყო ჩატეხილი და, მეორე, ზუბალოვის სიტყვებსაც, თუმცა ბევრი ძირ-მწარე, სამსალა და დარიშხანა ერია, მაგრამ იმდენი ავალა არა ჰქონდა.

მახლას, მრუდე გზით იარა ჩვენის გამგეობის მოღვაწეთა მიმართ ხალხის ნდობამა და აღტაცებამ! თავმომწონე იზმაილოვს, რომლის ყოველი სიტყვაც-კი ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი იყო და რომელიც მხნედ და მამაცად ტალეირანბისძარკობდა, ეხლა სტამბულოვის მოხერეხებაც-კი სანატრელი გაჰხდომია. მართლაც-და, რად იარა ხალხის აღტაცების გრძნობამ ასე უსწორ-მასწორო გზით? რაც დასთესეს, იმას იმკიან, თუ უდანაშაულოდ წამებულნი არიან? აბა ქალაქის გამგეობამ თვალი გადაავლოს, სხვათა შორის, ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა, ქალაქის განათებისა და მრავალ სხვა საქმეს, თავისს წარსულს მოღვაწეობას, განა ეთქმის-კი, რომ

მე ეს ხიდი სავლელად
დიაღ სწორედ გავდეო?!.

ჩიორა

ლი მოიტაო", დაუძახა თათარმა, გამოიყვანა წყლიდგან, მოაბრუნა, თავისი ნაბადი წამოასხა, შესვა ცხენზე და თავისას წაიყვანა. შინაც რითაც-კი შეეძლო, ყველაფრით მოუარა. დავალებულმა მოვალე სომეხმა მეორე დღეს ვექსილი დაუხია თათარს და 100 თუმანზე ხელი აიღო.

⁂ სურამის შემოსახვევ გზის იჯარადრის ბეზკროვნისაგან მუშებს ჯერაც არ მიუღიათ ხვედრი ფული. გუშინ-წინ ამ ხალხმა გუბერნატორს მიჰმართა თხოვნით და იმის საბუთებიც წარუდგინა, რომ ფული არ მიგვიღიაო. ბ-ნმა გუბერნატორმა აღუთქვა დახმარება. („Т. Л.“)

⁂ 17 იანვარს ციციანოვის ქუჩაზე შერჩეულის გასაღებით სადგური გაუტეხეს იუზბაშევს და წაიღეს 30 მან. ნივთეულობა. ქურდი ჰასან იბრაჰიმ-ოღლი შეიპყრეს და ნაპარევიც უპოვნეს.

⁂ 16 იანვარს ელჩიევის აგურის ქარხანაში მომუშავე 60 წლის აბრამ-ოღლი მიწასა სთხრიდა, გამოსთხარა პატარა მღვიმესავით და შეძვრა შიგ. ამ დროს მოირღვა მიწა და ქვეშ მოჰყვა. მიცვალებულის გვამი ცოლს ჩააბარეს.

## ნაკვესი

ერთი ბედ-გამწყრალი და უხეირო შვილი შეჰხვდა თავისს ნაცნობს და შესჩივლა:

— არ გებრალები?.. მამა დამიბრმავდაო.

— შენი არ ვიცი და მამა-შენი-კი გაბედნიერებულა.

— როგორა?

— თავის შვილის უხეირობას თავისის თვალით მაინც აღარა ჰნახავსო.

## იმპერატორი პავლე I და მისი მანიფესტი 18 იანვარს 1801 წელს

(საისტორიო შენიშვნა)

1783 წელს 24 მკათათვეს გეორგიევსკის ქალაქში მეფე ერეკლე II შეეკრა რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინე დიდს პირობით, რომ მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს რუსეთის მფარველობას და უარჰყოფს ყველა სხვა სახელმწიფოს გავლენას. თავისის მხრით რუსეთი ვალად იდებდა დაეცვა საქართველო გარეშე მტრისაგან და საქართველოს მტერი მიეჩნია თავის საკუთარ მტრად.

ამ ხელ-შეკრულობამ ირაკლის და მის სამეფოს დიდი დავიდარაბა და უსიამოვნობა აუტეხა. სპარსეთმა და ოსმალეთმა, რაკი დაინახეს, რომ საქართველო უმეგობრდებოდა ძლიერს რუსეთს და მათთან მეგობრობა და ტკბილი ურთიერთობა აღარა სურდა, ერთი ათად უმატეს თავის ძალ-ღონეს და საქართველოს მოსვენებას აღარ აძლევდნენ. სწორედ ასეთს გაჭირვებაში უნდოდა ირაკლის დახმარება რუსეთისა და ისიც რამდენჯერმე უთვლის გენერალს გუდოვიჩს, სასწრაფოდ დამეხმარე ჯარებით, თორემ ჰგამძვინვარებული აღა-მაჰმად-ხანი საქართველოს ნაცარ ტუტას ააღენსო და პირობაც დარღვეული იქნებაო. გუდოვიჩი ნელა ირჯებოდა. ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა ტფილისი აიოხრა და სპარსეთისკენ ჰქნა პირი. ორი ბატალიონი რუსის ჯარისა პოლკოვნიკ სიროკნევის მხედართ-მთავრობით დუშეთამდის მოვიდა და, რაკი შეიტყო, რომ საქართველო აუოხრებიათ და მტერიც გაბრუნებულაო, ისევ „ლინიას“ მიაშურა.

ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ დიდად შეარყია საქართველო და იმედებით სავსე მოხუცს ირაკლის მეტი გზა აღარ ჰქონდა, უნდა კიდევ ეთხოვა რუსეთისთვის ჯარები. გაჰგზავნა პეტერბურგს თ. გარსევან ჭავჭავაძე ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად. ამასობაში ალა-მაჰმად-ხანი გარდაიცვალა და იმპერატორმა პავლემ ის ორი ბატალიონიც გაიყვანა საქართველოდან, რომელიც გამოუგზავნა ირაკლის. ასე რომ 1797 წ. საქართველოში არც ერთი რუსის სალდათი აღარ იყო.

თუ ირაკლიმ ვერ ალაგმა შინაური მეამბოხენი და მოხუცებაში ვეღარ შეიმაგრა რუსეთთან მეგობრობის გამო განაწყენებული ოსმალ-სპარსნი, გიორგი მეფე სრულიად უძლური იყო ამ დიდის საქმისთვის. გიორგიმ ხელახლა გაჰგზავნა ელჩები: თ. გ. ჭავჭავაძე, თ. გ. ავალიშვილი და თ. ელიზბარ ფალავანდიშვილი მფარველობის სათხოვნელად და ექვსი ათას ჯარის ჩასაყენებლად საქართველოში.

იმპერატორს პავლეს არა სურდა, საქართველო სამუდამოდ შეერთებოდა რუსეთს, ან მეფობა მოსპობილიყო საქართველოში. ამისათვის სამეფო ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა გიორგის პირმშო შვილი დავით. მაგრამ ბოლოს საქმე სხვა ნაირად დატრიალდა, სახელმწიფო საბჭომ დაიყოლია იმპერატორი და დაითანხმა, რომ საქართველოს შემოერთება აუცილებლად საჭიროაო. ამ სახით, 18 დეკემბერს 1800 წ. დამზადდა მანიფესტი, რომ საქართველო სამუდამოდ შეუერთდა რუსეთსაო. მანიფესტი მოუვიდა კნორინგს, მაგრამ მთელმა ერთმა თთვემ გაიარა, ვიდრე ამ მანიფესტს გამოაქვეყნებდნენ საქართველოში.

გენერალი კნორინგი სხვა განკარგულებას ელოდდა და მანიფესტს ვერ აქვეყნებდა. სწორედ ამ ხანებში (28 დეკ. 1800 წ.) გარდაიცვალა მეფე გიორგი XIII და კნორინგმაც 18 იანვარს 1801 წელს სიონის ტაძარში წაუკითხა საქართველოს თავად-აზნაურობას და ერს მანიფესტი, რომ თქვენი ქვეყანა რუსეთს შეუერთდა და მისი მართვა-გამგეობაც ახლა რუსული იქნებაო.

მანიფესტი ბევრს ეუცხოვა, ბევრმა უკმაყოფილებაც გამოაცხადა, მაგრამ საქმე გათავებული იყო.

სწორედ გუშინ, 18 იანვარს, შეუსრულდა ამ მანიფესტს 91 წელიწადი.

ა. ფ—ლი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ბ-ნი Ив—овъ-ი გვარწმუნებს გაზ. „Кавказъ“-ის მეთორმეტე ნომერში, რომ აგერ თხუთმეტი წელიწადია კახეთში ვსცხოვრობ, ძალიანაც შემიყვარდა ეს ქვეყანა და ღირსიც არის ყურადღებისაო. მგონი, არავინ შემოიტანს ეჭვს, რომ ბ-ნს Ив—овъ-ზე ნაკლებ არც ჩვენ გვიყვარს კახეთი და მიზეზიც მხოლოდ ეს სიყვარული იყო, რომ მისი წერილი ბოლომდის ჩავიკითხეთ, თორემ სხვაფრივ ყოვლად შეუძლებელი იყო ჩვენის მხრით ასეთი გმირობა. ბ-ნი Ив—овъ-ი იწყებს კახეთზე ლაპარაკს და ერთი ოცის სტრიქონის შემდეგ გადადის წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე. ლაპარაკობს ძრიელ ვრცლად. მერე ასეთივე ვრცელი სიტყვა ჩამოუგდია ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ავ-კარგიანობაზე, და თვით კახეთის შესახებ-კი რაღაც უმნიშვნელო ამბები მოჰყავს თავის ბტყლად გაჭიმულს ფელეტონში, თანაც ამ ამბებს გაზეთში უჭირავს სულ რამდენიმე სტრიქონი. მერე, საიდამ სადაო, წმინდა საბაო! თუ კახეთის ვითარება გნებავდათ აგეწერათ, ილაპარაკეთ კახეთზე, თუ არა-და რასა ჰგავს—კახეთის სახელით გამოსდიხართ და სულ სხვა ქვეყნების ამბებს მოგვითხრობთ! რა შუაშია კახეთი წინამძღვარიანთ-კარისა და სათავად-აზნაურო სკოლის საქმეში!

ჩვენ გვეწადა ბ-ნ Ив—овъ-ის წერილიდგან საკუთარი სიტყვები მოგვეყვანა და ჩვენთან ერთად განგვეცვიფრებინა მკითხველები. მაგრამ ჩვენი სურვილი აუსრულებელი დარჩა, რადგან არ ვიცით, რომელი ერთი მშვენება ამ წერილისა ამოვიღოთ და განვუზიაროთ მკითხველს: ერთი ადგილი უდრის მეორეს, მესამე ორივეს და სხვანი. ამიტომ საჭიროა ან მთელი წერილი უნაკლულოდ გადმოითარგმნოს ან არა და მისი შინაარსი იქმნას ამოღებული. მთლიანი გადათარგმნა ნამეტანი იქმნებოდა, ამიტომ ჩვენ გადმოგცემთ შინაარსს.

ბ-ნი Ив—овъ-ი გვარწმუნებს, რომ წინამძღვარიანთ-კარის სკოლა არ ვარგებულაო. თუმცა-კი არ ვიცით, მაგრამ მთელი კახეთი დღეს ამასა ჰღაღადებსო. რომ ჰკითხოთ, საიდგან წარმოსდგა ეგ ღაღადება და რაღა სწორედ დღესაო, ბ-ნი Ив—овъ-ი წარბ-შეუხრელად გიპასუხებთ: სამი შეგირდი ყოფილა კახეთიდგან ამ სკოლაში და წელს გამოსცადეს მშობლებმა თავიანთი შვილები, აცა, უსწავლიათ რამ თუ არაო. გამოცდილებამ აჩვენა, რომ არავითარი სწავლა არ მიუღიათო და ამის გამო საშინელი საჩივარი და სამდურავია ატეხილი მთელს კახეთშიო, ყველანი მაგაზე ლაპარაკობენ და დღეს ხსენებული ამბავი შეადგენს ვარამს კახეთისასაო. ვისაცა გნებავთ, დაიჯერეთ, ვითომც მთელი კახეთი ჰლაპარაკობდეს ქვეყნის უკუღმართობის შესახებ მხოლოდ იმის გამო, რომ სამი შეგირდი წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა უსწავლელი გამომდგარა. კახეთს უნახავს ასობით თავისი, თუ სხვა ტომის ახალგაზდები, რომელთაც უნივერსიტეტები დაუმთავრებიათ და ღვთისაგან განაჩენისა არა სცოდნიათ-რა, მაგრამ მაგის გამო ყურიც არ გაუნძრევიათ, არა თუ ყველგან მაგაზე ელაპარაკნათ და ღაღადება დაეწყოთ. იქნება ერთმა-ორმა მშობელმა მართლაც შესჩივლა გულშემატკივარს ბ-ნ Ив—овъ-ს თავიანთ შვილების უხეირობა. ეგ შესაძლოა, ამიტომ რომ მშობლებს ჩვენთვისაც შემოუჩივლიათ ნაკლულევანება არა თუ წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა, არამედ ქალებისა და ვაჟების გიმნაზიებისაც, აკადემიებისა და უნივერსიტეტებისაც, მაგრამ მაგის გამო ჩვენ კორესპონდენციები არ გვიწერია ტფილისის და პეტერბურგისა, მოსკოვისა და ვარშავის უნივერსიტეტების შესახებ. პირველი ესა, ყველა ჭორი არ დაიჯერება, მეორეც ისა, რომ უნაკლულო თვით მზეც არ არის. აქაო-და სამი ბალღი წინამძღვრიანთ სკოლისა უცოდინარი გამომდგარა, ამით ნურავინ ეცდება ჩირქი მოაცხოს ისეთს ჩინებულს დაწესებულებას, როგორიც არის ხსენებული სკოლა. ამისთანა მეცადინეობა ამაო იქმნება.

რამდენადაც ბ-ნი Ив—овъ-ი აძაგებს წინამძღვარიანთ-კარის სკოლას სრულიად უსაფუძვლოდ, იმდენადვე აქებს ჩვენს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას. ამ შემთხვევაში მზადა ვართ დავეთანხმოთ ბ-ნს Ив—овъ-ს, მაგრამ ერთს რჩევას-კი მაინც მივცემთ: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაზე კახეთიდგან დღეის იქით ნურას მოიწერება, რადგან ტფილისში იმდენი მწერლები არიან, რომ თვლასაც ვერ მოახერხებს ბ-ნი Ив—овъ-ისთანა კორესპონდენტი, რომელიც მზაა ერთი აძაგოს სხვათა სიტყვით, სახელი გაუტეხოს მთელს დაწესებულებას ჭორების დაჯერებით და ამავე დროს არასა ჰზოგავს აღამაღლოს მეორე დაწესებულება კვლავ სხვათა სიტყვის მიხედვით. რასაკვირველია, ამისთანა მწერალი ვერ მოახერხებს დააჯეროს მკითხველი, რომელიც დღეს იქამდე მიხვედრილია, რომ მაშინვე აიღებს ალღოს, საითა ნიავს რა ნადირის სუნი მოაქვსო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პალატის კრებაზედ 7 იანვარს ერთი უმაგალითო ამბავი მოხდა. ბულანჟელებმა ლეზანმა და ლორმა ფრეისინეს მიჰმართეს და ჰკითხეს, რა ღონისძიების ხმარებას აპირებს მთავრობა იმის გამო, რომ გაზეთი „Intransigeant“-ი ერთს მინისტრთაგანს სხვა-და-სხვა ბრალსა სდებსო? უნდა შევნიშნოთ, რომ როშფორის ამ გაზეთში ბოლოს დროს რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც მაგალითებით იმას ამტკიცებდნენ, რომ კონსტანი კაცის-მკვლელი, ქურდი, ყომარბაზია და სხვ. ფრეისინემ უპასუხა, რომ ფიქრადაც არა მაქვს მაგის შესახებ ვსთქვა რამე, რადგან ბულანჟელებს ამ ლაპარაკით მხოლოდ ის უნდათ, რომ იმ ცილის-წამებით სავსე წერილების გავრცელებას ხელი შეუწყონ და ამ კრებაზედ წაიკითხონო. მე სულაც არა მსურს ასეთს სურვილს გზა მივცე და დავეხმარო, მით უმეტეს, რომ ტრიბუნა მთავრობის შეურაცხებას არ უნდა უმართავდეს ხელსაო (ტაშის კვრა ისმის). ბულანჟელები თავს იმართლებენ. დეპუტატი დელპეში: „ჯირგინაში გადაიხაფრნენ ეგენი თავიანთის უალაგო ლაპარაკით“. ლორმა შენიშნა რომ, თუ პალატა ამ საგნის განხილვის ნებას არ მოგვცემს, ყველასათვის აშკარა იქნება, რომ თავისუფლებას იმსხვერპლებს პალატა, ოღონდ-კი საზოგადოების მიერ ჩირქმოცხებულს მინისტრს გადაეფაროს როგორმეო. ამ დროს კონსტანი წამოხტა თავისის სავარძლიდგან და თან ტრიბუნას მივიდა, რომელზედაც ლორი იდგა; ხელი ჰკრა ფრეისინეს, რომელსაც უნდოდა გაეჩერებინა, და სუბსტატსეკრეტარს გაუსხლტა ხელიდგან; გზაზედ დელაკრატელი შეხვდა და ისე მაგრა დაჰკრა თეძოში, რომ დელაკრატელმა შეჰკივლა და კოჭლობით გაჰშორდა. ახლა მოსამსახურეს უნდოდა კონსტანი გაეჩერებინა, მაგრამ ისიც მალე მოიშორა; აგერ კონსტანი ლორთან მივიდა, მარცხენა ხელი საყელოში დაავლო და მარჯვენათი ორი მაგარი სილა სტკიცა; შემდეგ ტრიბუნიდგან ჩამოითრია და პანღურის ცემით შორს გადააგდო. „გადავიხდი ამ ვალსაო“, ყვიროს ლორი. ამ დროს ლორს ბულანჟელები მიეშველნენ; ამასთან უმრავლესობის დეპუტატები მისცვივდნენ ტრიბუნას, რომელიც სწორედ ბრძოლის ველად იყო გადაქცეული. დელპეშმა სილა გაარტყა კასტელენს, რომელმაც სამაგიეროდ სქელი წიგნი ესროლა, მაგრამ ეს დავთარი მეორე დეპუტატს მოხვდა. ყველგან ჩხუბი და ძიძგილაობაა... ერთმანეთსა სცემენ, ათრევენ, სილებს არტყამენ. დარბაზში საშინელი ღრიანცელია. პალატის პრეზიდენტი ფლოკე, რომ ვეღარა გაუწყვია-რა, ქუდს იხურავს და აცხადებს, კრება გადაიდოო. ამ დროს მოსამსახურეები შემოდიან და დეპუტატები გარედ გაჰყავთ, მაგრამ დარბაზიდგან გაყვანილი დეპუტატები, თითქოს გაცოფებულიყვნენო, დერეფანში კრიობენ. ვამპსი ბუდოს სილას არტყავს, ოთხივ-კუთხივ ჩხუბი და ღრიანცელია. დასასრულ, დეპუტატები დაწყნარდნენ და 1/2 საათს შემდეგ ფლოკემ კვლავ დაიწყო კრება. კონსტანი ტრიბუნაზედ ავიდა და სთქვა: „ამ ერთის საათის წინად სიბრაზისა და მოუთმენლობის გამო თქვენდა შესაფერი პატივის-ცემა დავარღვიე. იმედია პალატა შემსუბუქების საბუთს მოუძებნის ჩემს სიბრაზეს და შემინდობს. გთხოვთ, რომ მაპატიოთ. იმედია, პალატა შეიწყნარებს ამ ჩემს თხოვნას, რადგან აგერ 17 წელიწადია დეპუტატადა ვარ და წესი არც ერთხელ არ დამირღვევია“.

ბულანჟელების მიერ წინ წამოყენებულის საგნის განხილვა პალატამ 328 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 44-სა საჭიროდ არ იცნო.

კრების შემდეგ კასტელენმა დელპეშს სეკუნდანტები გაუგზავნა, ლორი-კი დეპეშით დაეკითხა როშფორს რჩევას და პასუხად მოუვიდა: „ქურდს, ქვეყნის გამრყვნელსა და ყომარბაზს არავინ გაიწვევს ხმალში; ამისთანა კაცს ვერც სამართალით დაუწყებთ დევნას, რადგან მართლ-მსაჯულება არ არსებობს და მოსამართლენი-კი ყველანი სხვისი ყურმოჭრილი მასხარანი არიანო“.

## ბიბლიოგრაფია

(ახალი რუსული ჟურნალი ღვინის კეთებისა და მევენახობისა)

„Вѣстникъ Винодѣлія“ ежемѣсячный иллюстрированный журналъ, издаваемый подъ редакціей В. Таирова. С.-Петербургъ.

ამ წლის იანვრის პირველიდგან დაარსებულ იქმნა პეტერბურგში ბ-ნ ვ. თაიროვის მიერ ახალი სპეციალური ჟურნალი ღვინის კეთებისა და მევენახობისა. პირველი ნომერი ამ

მშვენიერად დაბეჭდილის ჟურნალისა ჩვენ უკვე მოგვივიდა. მთავარი აზრი ამ ჟურნალის დაარსებისა, როგორც ამბობს ბ-ნი რედაქტორი თავისს მეთაურს წერილში, ის არის, „რომ ყოველისავე ღონისძიებით დაცულ იქმნას ინტერესი იმ მკვიდრთა, რომელთა უმთავრესი წყარო ეკონომიურის კეთილდღეობისა ღვინის კეთებაა, და დაეხმაროს ყოველისავე ამ საგნის შესახების საჭირო სწავლა-ცოდნის გავრცელებით მევენახობისა და ღვინის კეთების აღორძინებასა და წარმატებასა, დაეხმაროს აგრეთვე ჩვენის ღვინის ვაჭრობის განკარგებასაც“.—რუსეთის სახელმწიფოში, როგორც ცნობილია, ჩვენს კავკასიას პირველი ადგილი უჭირავს მევენახობასა და ღვინის კეთებაში. ეს ამბავი არ გამოჰპარვია თვით ახლად მოწყობილს რედაქციასაც და, როგორც ეტყობა პირველს ნომერსავე, რედაქციას სწადიან ამ მხრივ შესაფერი ყურადღება მიაქციოს ჩვენს ქვეყანას. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ადვილი გასაბედი საქმე არ არის რუსეთში ამ გვარის სპეციალურის ჟურნალის ბეჭდვა, რადგანაც უმრავლესი ნაწილი ჩვენის მევენახეებისა სრულიად დაჩვეული არ არის რომელსამე ლიტერატურას ყური უგდოს, თუ მეტადრე იგი ლიტერატურა იმ ენაზეა, რომელიც უმეტესობისათვის სრულიად უცხოა. მაგრამ ეხლა ის დრო არის, როდესაც სამეურნეო საგნები მთელს რუსეთში დიდს ყურადღებას იზიდავს. ასეთი ცნობისმოყვარეობა, ცოტად თუ ბევრად, ილვიძებს ჩვენს ეგრედ წოდებულს სოფლის ინტელლიგენციაშიაც, რომლისათვისაც, ჩვენის აზრით, ახალი ჟურნალი დიდად საინტერესო უნდა იყოს.

ჟურნალს ძლიერ ერცელი პროგრამა აქვს თავის უმთავრესის საგნისა. აი თვით პროგრამა: 1) მევენახობა, 2) ამერიკული ვაზი და ჰიბრიდები, 3) ვენახის ავადმყოფობა და მათი წამლობა, 4) ფილოქსერა და მასთან ბრძოლა, 5) ღვინის კეთება და სარდაფებში ღვინის შენახვა, 6) თხლეჭაჭის გამოყენება, 7) სიყალბე ღვინის კეთებისა, 8) უცხო ქვეყნების ლიტერატურა მევენახობისა და ღვინის კეთებისა, 9) ქრონიკა (კორესპონდენციები, მოხსენებანი, სასტატისტიკო და სხვა გვარი ცნობანი მევენახობისა და ღვინის კეთების შესახებ რუსეთსა და სამზღვარ გარედ), 10) სკოლები, გამოსაცდელი სადგურები და კურსები მევენახობისა და ღვინის კეთებისა, 11) ღვინის კეთება სხვა-და-სხვა ხილეულისაგან, 12) მთავრობის განკარგულებანი შესახებ ღვინის კეთებისა, მევენახობისა და ღვინით ვაჭრობისა, 13) ბიბლიოგრაფია, 14) კითხვა-მიგებანი.

ჟურნალში იღებს მონაწილეობას ბევრი გამოჩენილი სწავლული სპეციალისტი საფრანგეთისა, ავსტრი-ვენგრიისა და იტალიისა და გარდა ამისა, მრავალი რუსეთის პროფესორი და აგრონომი. პირველს ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის ორიგინალური წერილები ბ-ნ ვიულიასი—საფრანგეთის სამეურნეო სკოლის დირექტორისა და ჟურნალ „La Vigne Américaine“-ის რედაქტორისა, პარიჟის სააგრონომიო ინსტიტუტის პროფესორის ვიალლასი, პროფესორ კონოვალოვისა, პროფ. კოსტიჩევისა და სხვებისა. პირველი ნომერი საზოგადოდ ძლიერ საინტერესოდ არის შედგენილი.

არ. ფ—ლოვი

## გასართობი

მომივიდა თუ არა ამბავი, ბატონი 1892 წელი ტფილისში ჩამოვიდაო, მაშინვე დავაპირე ქალაქში ჩამოსვლა, რასაკვირველია, რკინის გზით, მაგრამ იმავე დროს ორი ამბავიც შევიტყე: ერთი—ისა, რომ ტფილისში ნათლიღება დღეს ხიდი ჩატყდა და ხალხი დაიღუპაო და მეორეც—მოლითის სადგურზედ მატარებელი დაიმსხვრაო. ვიფიქრე—არა, ღმერთმა დამიფაროს, რკინის გზით ქალაქში არ წავიდე მეთქი: ერთიც ვნახოთ, მატარებელი დაიმსხვრეს, ან გზაში ხიდი ჩატყდეს სადმე. თუ-კი მთელმა ქალაქმა ერთი ხეირიანი ხიდი ვერ გააკეთა, ინჟენერების აშენებულს ხიდებს როგორ უნდა ვენდო მეთქი? ისევ ურმით ვირჩიე ქალაქში წამოსვლა. მართალია, ურემიც გადაბრუნდება ხოლმე, მაგრამ როცა გადაბრუნდება—გზაც გამოჩნდება და ხიდი რომ ჩატყდეს, აბა რაღა მეშველება? დავჯექი ურემზე მამაპაპურად და გამოვწიე ქალაქისაკენ. როგორც ჰხედავთ, კარგა ხანი დავიგვიანე, მაგრამ ის რად მიღირს, რომ სულიც თან ჩამომყვა და ხორციც. ქალაქში მითხრეს, 1892 წელი „პურ-ღვინოს“ სასტუმროში ჩამოხდაო. მეორე დღეს ადრე ავდექი, ახალი ტანისამოსი ჩავიცვი, ვახსენე ღმერთი და წაველი იმის სანახავად. უნდა გამოგიტყდეთ, გზაში გული მიფანცქალებდა: სხვა არა იყოს რა, 1892 წელი ნაკიანი წელიწადია და, როგორც მითხრეს, ძლიერ ამპარტავანი კაციც ყოფილა. მიველი. ზარი დავაწკარუნე.

— შინა ბძანდება ბატონი 1892 წელი?

— დიაღ.

— შეიძლება მინახულოს?

— რატომ, რამდენი ხალხი დაიარება ყოველ დღე: ვაჭრები, ექიმები, ინჟენერები და კიდევ ვინ იცის ვინა. ახალის გაზეთის რედაქტორმა ხომ საქმე გააჭირა, დღეში ათჯერ მაინც შემოირბენს ხოლმე. მობრძანდით...

შეველი. 1892 წელი ძლიერ ახალგაზდა კაცი ყოფილა. წაბლის ფერი ჩოხა აცვია შევერცხლილის მასრებითა და პაწია კოხტა ხანჯალი არტყია წელზე; სახე გამხდარი აქვს, გაყვითლებული, გაცრეცილი, ეტყობა, ქეიფი უყვარს.

— ძლიერ სასიამოვნო გახლავთ თქვენი გაცნობა. რას მიბძანებთ?

— თქვენსს გასაცნობად გიახელით და მსურს, თუ შეიძლება, თქვენი ფიქრი და განზრახვა გამაგებინოთ, რა მოგველის ამ წელსა?

— რა მოგახსენოთ; ჯერ ახლად ჩავიბარე ჩემი თანამდებობა. მამა ჩემი, როგორც მოგეხსენებათ, ცუდი კაცი იყო.

— დიაღ, მოუსავლობა, სიმშილი, მატარებლების მსხვრევა...

— სიმშილისა რა მოგახსენოთ... საქართველოში ხომ კარგი მოსავალი მოგივიდათ. ღვინო ბევრია. აი, მე დღეში ორს თუნქსა ვსვამ. რაც შეეხება რკინის გზების უბედურებას, სწორედ მოგახსენოთ, ამ წელსაც მოხდება. ბევრი მატარებელი დაიმსხვრევა და ხიდებიც ჩატყდება.

— კიდევ უბედურობა მოგველის რამე?

— დიაღ. თქვენ თითონ გსურთ, რაც შეიძლება მეტი რკინის გზები გავმართოთო. ცხოვრებას ეჩქარებით და აბა მითხარით, მაშ როგორ იქნება, რომ უბედურება არა მოხდეს-რა. ყველანი ხომ არ დაზარალდებით და სადმე რომ 30 ან 40 კაცი მოკვდეს, ეგ რა ანგარიშში მოსატანია!

— როგორი დარები დაგვიდგება ამ წელს? განგებ სალაპარაკო საგანი გამოვცვალე, რადგანაც შევატყე, რომ ბატონი 1892 წელიწადი ამ საგნის შესახებ ისეთისავე აზრისა იყო, როგორრისაც ჩვენი ინჟენერები არიან.

— დარები? დარს სხვა-და-სხვა ნაირს დაგიყენებთ. მე 366 დღე მაქვს და შემიძლიან ყველა ნაირი ამინდი შემოგაწიოთ. გუშინ შეშის გამყიდველთა „დეპუტაცია“ მოვიდა და მთხოვა, ცივი ზამთარი გვიწყალობეო. მეც დავპირდი. მერე ღარიბ-ღატაკები მოვიდნენ და თბილი ზამთარი მთხოვეს. იმათაც დავპირდი. მერე ექიმები მოვიდნენ და მთხოვეს, სამი-ოთხი გადამდები ავადმყოფობა გააჩინეო. იმათაც აღვუთქვი.

— იმათ-კი სულ ტყუილად უსრულებთ თხოვნას. შარშან კარგად მოითბეს ხელები. ცხონებულმა მამა თქვენმა კარგი ინფლუენცა და ყვავილი დაატრიალა

— რა ვქნა, ბევრს მეხვეწნენ და უარი ვეღარ მოვახერხე. ძლიერ კარგი კაცები არიან ექიმები...

ეგეც არ იყოს, აკი მოგახსენეთ, ვინც რასა მთხოვს, ავუსრულებ მეთქი. მაგრამ არ ვიცი-კი, როგორ მოვახერხო? მემამულეები წვიმიანს ამინდებსა მთხოვენ, ქალები—მზიანს დღეებს, „ნიუორკის“, „შვეიცარიის“ და „პუშკინის თეატრის“ პატრონები მეხვეწებიან, კარგი ზაფხული დაგვიყენეო; ფორკატტი მევედრება, არამცა და არამც წვიმები არ მოიყვანო, თორემ უეჭველად გავკოტრდებიო. მეეტლეები-კი წვიმა-ტალახსა და თოვლ-ჭყაპს მთხოვენ. მეც ყველას ვპირდები, თხოვნას აგისრულებთ მეთქი. მეტი რა გზაა?

— ლატარიაში ვის არგუნებთ ბედსა?

— მდიდრებსა.

— მდიდრებს?!

— დიაღ, არ გაგიგონიათ: „ვისაცა აქვს, მიეცეს და მიემატოსო“? ღარიბი კაცი ფულს ჩვეული არ არის, ვერ მოიხმარებს და ზიანის მეტს ვერას ნახავს.

— მოწყალეო ხელმწიფევ, გავუბედე მეც ჩემი თხოვნა: თუ შეიძლება ეგ ზიანი მე მომანიჭეთ და ოცი ათასი თუმანი მომაგებინეთ...

— 1892 წელი ფეხზე წამოდგა, ცხვირზე „პენსნე“ წამოიკოსა და რაღაც ნაირის ეშმაკურის ღიმილით მითხრა: „მერე რას უზამთ იმ ოცი ათასს თუმანს, რომ მოგაგებინოთო?“

— მე... მე... ამ სიტყვას არ მოველოდდი და პასუხი ვერ მოვახერხე.

— გაფლანგავთ განა?.. უეჭველად გაჰფლანგავთ... კარგი...ვნახოთ... ვიფიქრებ, ეხლა-კი ნახვამდის... ბუფეტში მივდივარ, საუზმე მელის.

გამოვეთხოვე და შინ წამოვედი. გზაში ვიფიქრე: ძლიერ ქარაფშუტა-კი ყოფილა ეს 1892 წელი და ვნახოთ აბა, რას მოგვიტანს?..

## დეპეშა

17 იანვარი

**პეტერბურგი.** დღეს შუადღისას გვამი დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძისა პავლოვსკიდამ გადაასვენეს პეტრე-პავლეს ტაძარში. პროცესსიის დროს ხელმწიფე იმპერატორი მიდიოდა შვეციის მემკვიდრე პრინცთანა და დიდს მთავრებთან ერთად; ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდი მთავრინა სამგლოვიარო ეტლით მიბრძანდებოდნენ. პეტრე-პავლეს ტაძარში საფლავი გათხრილია დიდის მთავრინას ალექსანდრა ნიკოლოზის ასულის საფლავის გვერდზე. კუბო შემკობილია გვირგვინებით. მორიგეობენ განსაკუთრებით ზღვაოსნები.

**სოფია.** სტამბულოვს დიდი ტკივილები აქვს, მოუსვენრობას იჩენს. არავის არ ანახულებენ. საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა არ გათავებულა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

**ქაირი.** ხვალ გაიმართება საკანონმდებლო კრება. ქედივი აუწყებს კრებას, რომ საბატონ-ყმო გადასახადები და ბეგარა გაუქმებულ იქმნა, მოისპო ევროპიული პატენტები და მარილის ბაჟი შემცირდა 5%-ითაო.

**პეტერბურგი**, 18 იანვარს. დღეს იქმნა დასაფლავებული პეტრე-პავლეს ტაძარში გვამი დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძისა: დასაფლავებას დაესწრნენ: შვეციის პრინცი და წარმომადგენელი გერმანიისა გენერალ-ადიუტანტი ვერდერი.

გზათა მინისტრი ფონ გიუბენეტი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ, თანხმად მისის თხოვნისა, სტატს სეკრეტრისა და სენატორის წოდებით. „Гражд“-ი იუწყება, რომ იმ თათბირ-ვაზირობაში, რომელიც გზათა-მინისტრის თავსმჯდომარეობით არის, გადაწყვეტილ იქმნა საქმის გასაადვილებლად მიეცეს პოლკოვნიკს ვენდრიხს თითო თანაშემწე თითოეულის სარკინისგზო მაზრა-რაიონისათვის.

**ვორონეჟი.** გუშინ, საღამოს 9 საათიდამ ცეცხლია გაჩენილი მიტროფანეს მონასტერში. ნაწილებისა და ძვირფას სამკაულის გადატანა მოასწრეს მახლობელს მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. ცეცხლი ბუხრისაგან გაჩნდა. შუა-ღამისას რამდენიმე გუმბათი ჩამოიქცა ეკკლესიისა. ცეცხლი ერთს ალაგას შეიკავეს. რამდენიმე მქრობელი ჩამოვარდა ზევიდამ, ზოგი მოკვდა და ზოგი დასახიჩრდა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 იანვარი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გარიგე-ბისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 18 | 8, 20 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 163 | 164 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 236¼ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 226¼ |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 198½ | — ,, | 201 |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5½% | — ,, | — ,, | 102 |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | 102 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98¾ |


## განცხადებანი

### ღვინოები

ავლაბრის სირაჯხანის თავში, აფთიაქის ზემოდ, ტრაქტირის პირდაპირ, წყალობა არუთინოვის დუქანში ჩამოტანილია კახური ძველი საუკეთესო ღვინოები თეთრი—ოთხის წლისა და წითელი—სამის წლისა თავად დიმიტრი ივანეს ძის მაყაშვილისა რუისპირის ზვრიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მობრძანდნენ დილის ათის საათიდამ შუადღის სამ საათამდე. შემდეგ აღარ ისყიდება.

(2—1)

სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო სადგომში

29 იანვარს 1892 წლისა, საღამოს 8 საათზე ვაჭრობა მოხდება (განუმეორებლად) იჯარით გასაცემად იმ უძრავ ქონებისა, რომელიც შესწირა განსვენებულმა არუთინ ოქოევმა და რომელიც რიყის ქუჩაზეა № 46

პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა უქმებისა, დილის 10—12 საათამდე.

(3—1)

6 იანვარს დაღუპულების ოჯახობათა სასარგებლოდ შეწირულებათა შემკრები კომისია

მიიღებს ყოველ დღე

ქალაქის საბჭოში წერილობითს თხოვნას—6 იანვარს დაღუპულთა ოჯახებისა და ნათესავებისას.

პირად სანახავად და სიტყვიერის თხოვნისათვის კომისია სთხოვს მსურველთ მიბრძანდნენ გამგეობის სადგომში კრების დღეს, ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათიდამ.

(3—1)

საეკლესიისათვის

სუნნელოვანი

ათონის საკმეველი

(ახალთ-ახალი)

გირვანქა 1 მ. ღ 35 კ. ისყიდება

რ. კელერთან და ამხ.

მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე,

ისყიდება აგრეთვე ყველგან, საუკეთესო მაღაზიებში (5—0—5)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ვაი მართალთა!

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საუნჯე

მეათე საუკუნისა

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბელელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი

(10—0—10)